კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება

0321.2.1

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 02-2024

18 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 02-2024

18 აპრილი, 2024 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება **Media Studies and Multimedia Production**
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა
ფართო სფერო
სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
ვიწრო სფერო
ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
დეტალური სფერო
ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
სწავლის სფერო
მედიის კვლევები
სწავლის ხანგრძლივობა
სწავლების ხანგრძლივობა 4 სემესტრი (2 სასწავლო წელი)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით
120 ECTS კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
მედიის კვლევების მაგისტრი **Master of Media Studies**
სწავლების ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე
პროგრამის ხელმძღვანელი
ზაზა ცოტნიაშვილი სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ჟურნალისტიკაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ჟურნალისტიკის

სპეციალობით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე **მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება** ჩარიცხვის უფლება აქვს ნებისმიერი მიმართულების/სპეციალობის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა-ტესტირების საფუძველზე.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, სპეციალობაში ჩატარებული შიდა გამოცდისა და ინგლისურ ენაში ტესტირების შედეგები.
უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, სპეციალობაში გამოცდის ნაცვლად, შესაძლოა, ჩატარდეს გასაუბრება.
ინგლისურ ენაში ტესტირებისგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის **B2 დონეზე** ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ამასთან, ინგლისური ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

თუ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველი ვერ წარმოადგენს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ სერთიფიკატს, იგი ვალდებულია, ტესტირება გაიაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში.

უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთა ასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org).
ALTE B2 – მესამე დონე (აკადემიური სფერო).

B 2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა:

ტოიფელი (TOEFL *PBT*) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა;
ტოიფელი (TOEFL IBT) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა;
ბრიტანეთის საბჭოსა და
კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS) ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა;
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam) ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე **მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება** მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია:

- ❖ მოამზადოს მულტიმედიური ჟურნალისტიკის მკვლევარი, რომელსაც შეუძლია აკადემიურ სფეროში ახალი ცოდნის გენერირება;
- ❖ გააცნოს მაგისტრანტს კომუნიკაციების თანამედროვე თეორიები და ამ ცოდნის საფუძველზე - მულტიმედიაში საზოგადოების წარმოჩენის ტექნოლოგიები;
- ❖ დაეხმაროს მაგისტრანტს, სწორი დაგეგმვით, უახლესი ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებით, გააცნობიეროს სფეროს კომპლექსური საკითხები და შეიმუშაოს ორიგინალური იდეები;
- ❖ შეასწავლოს თანამედროვე დატვირთულ ინფორმაციულ ველში წყაროებზე მუშაობა, სასურველი მასალის მოპოვების, დამუშავების, კვლევის, ანალიზისა და გავრცელების ტექნოლოგიები;
- ❖ გამოუმუშაოს მაგისტრანტს ბეჭდური, სამაუწყებლო და ონლაინ მედიისთვის ჟურნალისტური მასალების მომზადების უნარი, დაკაბადონებისა და მონტაჟის ჩათვლით.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

სამაგისტრო პროგრამა **მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება** მედია პროცესების სწავლებასა და კვლევას ემსახურება. მიღებული ცოდნა მაგისტრანტებს დაეხმარება, საზოგადოებრივი ცხოვრების რთული და მრავალშენაკადიანი სისტემის ანალიზისას სწორი ორიენტირების მოიძიებასა და შესწავლა-კვლევაში, ახალი მედიასტრატეგიების შემუშავებასა და საკითხების სწორ და პოზიტიურ გაშუქებაში.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს:

- ❖ თანამედროვე კომუნიკაციის თეორიების, კვლევის მეთოდებისა და პროცესის შესახებ საფუძვლიანი ცოდნა;
- ❖ საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ პროგრამის დასრულებისთანავე, სრულფასოვნად ჩაერთოს ტრადიციული და ახალი მედიასაშუალებების: გაზეთის, ჟურნალის, რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტგამოცემის და სხვ. მუშაობის პროცესში;
- ❖ საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციებისა და გაერთიანებათა საქმიანობის არსის, პრინციპების ცოდნა;
- ❖ მაგისტრანტი, როგორც მკვლევარი, იცნობს ჟურნალისტიკის განვითარების ტენდენციებს, რომლებიც აუდიტორიაზე მედიის ზემოქმედებასა და უკუგებას განაპირობებს.

უნარი

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ❖ კრიტიკული მიდგომის საფუძველზე რთული, არასრული ან წინააღმდეგობრივი მონაცემების მოპოვება-ანალიზი და მათი სინთეზი, საჭირო დეტალების აქცენტირება, ანალიტიკური და კრიტიკული კითხვა და მართებული დასკვნების გამოტანა;
- ❖ მედიათეორიების სიღრმისეული, კვალიფიციური წვდომის მიზნით, მომიჯნავე დისციპლინათა საფუძვლების დაუფლების ბაზაზე, მულტიდისციპლინური კვლევის წარმოება; ჟურნალისტური ინფორმაციის დამოუკიდებლად და სრულფასოვნად მოპოვება როგორც პრაქტიკული, ასევე - თეორიული (მეცნიერული) კუთხით;
- ❖ სწორი დაგეგმვით, უახლესი ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებით, შეისწავლოს სფეროს კომპლექსური საკითხები, შეიმუშაოს ორიგინალური იდეები, მომხმარებელთან კომუნიკაციის სტრატეგია, გამოიყენოს მულტიდისციპლინური და ინტერკულტურული კომუნიკაციების მოდელები.

აქვს:

- ❖ ერთი მხრივ, მედიის კვლევის კომპეტენცია, მეორე მხრივ კი მულტიმედიური პროდუქტის წარმოებისა და პროფესიული ტექნოლოგიების გამოყენების, აკადემიურ სფეროში ახალი ცოდნის გენერირების, მედიამონიტორინგის ჩატარების უნარი;
- ❖ გუნდური თუ ინდივიდუალური პროფესიული საქმიანობისას შეუძლია კომუნიკაბელური, კოლეგიალური, ეფექტიანი შემოქმედებითი ურთიერთობების წარმართვა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული

- ❖ დამოუკიდებლად ახორციელებს კვალიფიციურ კვლევებს მედიის სფეროში და აწარმოებს მაღალი ხარისხის მულტიმედია პროდუქტს;
- ❖ ამკვიდრებს ისეთი ღირებულებებს, როგორიცაა პროფესიული ჟურნალისტური სტანდარტისა და ეთიკური ნორმების, მიუკერძოებლობისა და ბალანსის დაცვა;
- ❖ წვლილი შეაქვს დარგობრივი მედიის ფორმირების პროცესში, საზოგადოებისათვის სწორი ორიენტირების განსაზღვრაში, ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში.

პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამის „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება“ ელემენტები (120 ECTS)

(A) სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები;
(B) სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები;
(C) პრაქტიკული კომპონენტი;
(D) კვლევითი კომპონენტი.

სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები

ემსახურება მაგისტრანტის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას შემდგომში სამეცნიერო გზის გასაგრძელებლად ან პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასაბმელად. კურსდამთავრებულს ექნება საკმარისი თეორიული ბაზა და ის პრაქტიკული უნარ–ჩვევები, რომლებიც დასაქმების ბაზარზე მის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული რამდენიმე ძირითად მოდულს ითვალისწინებს:
<u>მედიის ფუნდამენტური პრინციპებისა და თეორიების მოდული,</u> რომელშიც გაერთიანებულია: მასკომუნიკაციის თანამედროვე თეორიები; მსოფლიოს ინფორმაციული რუკა; საინფორმაციო სტრატეგიები; კომუნიკაციის აუდიოვიზულური ფორმები 1 და 2.
<u>კვლევითი სასწავლო კურსების მოდული,</u> რომელიც მაგისტრანტის მკვლევრად ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. მასში გაერთიანებულია შემდეგი სასწავლო კურსები: მედიის კვლევების ფორმები და ტექნოლოგიები; მედია პოსტსაბჭოთა საქართველოში; ლოკალური მედიის ტენტენციები საქართველოში.
<u>ტექნოლოგიების შესწავლაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების მოდული,</u> რომელიც მულტიმედია სპეციფიკის სწავლებაზეა ორიენტირებული. მასში გაერთიანებულია შემდეგი სასწავლო კურსები: ვებ პროგრამირება; წერა მულტიმედიისთვის; მულტიმედია ტექნოლოგიები 1 და 2; მედიაფორმატირების ხელსაწყოები (ტექნოლოგიები და კონტენტი).

სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები

თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით, არჩევითი სასწავლო კურსები ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ:

1. **ზოგადი დარგობრივი ცოდნის შემცველი მოდული,** რომელშიც გაერთიანებულია სასწავლო კურსები: საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე); მედიის სამართლებრივი რეგულირება; კიბერუსაფრთხოება, მედია ორგანიზაციის ბიზნესმოდელირება; მასმედია და მასკულტურა.
2. სამი დარგობრივი მოდული: **პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების; აგრარული მეცნიერებების; ეკონომიკისა და ბიზნესის მოდული,** რომელთა დაკომპლექტებაც უნივერსიტეტში მოქმედი სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამიდან გახდა შესაძლებელი. (ერთადერთი გამონაკლისი, საგანგებოდ ამ პროგრამისთვის დამუშავებული არჩევითი სასწავლო კურსი: **„კონსტრუქციული აგროჟურნალისტიკაა“,** რომლის შესწავლისთვისაც უნივერსიტეტმა სახელმძღვანელოც გამოსცა). თითოეული დარგობრივი ქვებლოკი რამდენიმე არჩევით საგანს შეიცავს. არცერთ მათგანს წინაპირობა არ გააჩნია. თავისი არსითა და ბუნებით კი, ყოველი მათგანი ფუნდამეტური ინფორმაციის შემცველია.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები როგორც ლექციებითა და ჯგუფში მუშაობით, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობებით ხორციელდება. სწავლის პერიოდში

სტუდენტები რეალური საინფორმაციო სამსახურის რეჟიმში ამზადებენ სტატიებს, ფოტორეპორტაჟებს, ტელე და რადიოსიუჟეტებს, გადაცემებსა და პროგრამებს, თავად აკაბადონებენ, ამონტაჟებენ მასალებს და სხვადასხვა მედია პლატფორმაზე ათავსებენ მათ.

სტუდენტები გუნდური პროექტების განხორციელებასა და რეალური სიტუაციების სიმულაციებით სწავლობენ. სასწავლო პროცესის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული მულტიმედია ცენტრის (იხ. ბმული: http://multimedia.ciu.edu.ge/?lang=ge) საქმიანობაში. მათ მიერ წარმოებული პროდუქცია კი, გარდა უნივერსიტეტის ვებგვერდისა, ასახვას შემდეგ სოციალურ ქსელებში ჰპოვებს:

1. ფეისბუკზე: https://goo.gl/6Toh58
2. ინსტაგრამში: https://goo.gl/A3rbtR
3. იუთუბზე: https://goo.gl/gZKzYv

აგრეთვე, რამდენიმე მედიაპლატფორმაზე:

1. აუდიო პლატფორმა „საუნდქლაუდი“: https://goo.gl/mLn3cU
2. პუბლიკაციების უმსხვილესი ქსელი „issuu.com”: https://goo.gl/cQrWG6

პროგრამა მაგისტრანტებისათვის ხელმისაწვდომს გახდის იმ ინფორმაციას, რომლის მიღებაც ალტერნატიული გზით – პრესის ფურცლებიდან, ტელეეკრანებიდან თუ აკადემიური პროგრამებიდან – საკმაოდ რთულია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი ან მედიამკვლევარია, ან გამოცდილი პრაქტიკოსი, რომელიც დღესაც აქტიურად აწარმოებს მედიაპროდუქციას.
კონკურენტურანიანი და მომავალზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადებას შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები განაპირობებს:

1. პროგრამის მეშვეობით ქართულ უმაღლეს ჟურნალისტურ განათლებაში მულტიმედიური მიმართულებების აქცენტირება;
2. სწავლების თანამედროვე და ნოვატორული მეთოდების შერწყმა პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობასთან;
3. გამოცდილი აკადემიური პერსონალისა და შესაბამისის სასწავლო რესურსის სინთეზი.

პროგრამის მრავალშენაკადიანი ბუნებიდან გამომდინარე, მისი სწავლების მეთოდოლოგიაც შერეული ხასიათისაა. პედაგოგიკურ მეთოდებს აკავშირებს საერთო საფუძველი, ესაა საგანმანათლებლო სისტემის მიმართულება - სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო სივრცის ჩამოყალიბება, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა იმ მეთოდსა თუ ხერხს, რაც დასახული მიზნების წარმატებით განხორციელებისთვისაა აუცილებელი.
სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს და ერთმანეთში გადადის. კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე, პროფესორი, შესაძლოა იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

ამ საერთო ქოლგის ქვეშ გამოვყოფდით სწავლისა და სწავლების შემდეგ მეთოდებს:

1. წიგნზე მუშაობის მეთოდი - დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი;

2. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი - იგულისხმება ლექციასა და ჯგუფში მუშაობის დროს ინფორმაციის ზეპირი გადაცემა ან Power Point –ით პრეზენტაცია;

3. პრეზენტირებისა და დემონსტრირების მეთოდი - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში, უმჯობესია, მასალა მაგისტრანტებს ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
სტუდენტი იყენებს ბეჭდური და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მასალებს, სასწავლო ფილმებს, ინტერნეტ წყაროებს, აუდირებას, ცალკეული მოქმედებების დემონსტრირებას

ლაბორატორიული მუშაობის დროს (საოფისე პროგრამები) და სხვა;

4. წერითი მუშაობის მეთოდი - ტექსტი ნმედიის სპეციალისტისა და მკვლევრის ძირითადი სამუშაო იარაღი და მისი საწარმოო პროდუქციაცაა. გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება;

5. დებატების წარმოების მეთოდი - დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

მედიის ზეგავლენა თანამედროვე ადამიანთა ცნობიერებაზე ნეგატიურია. საზოგადოებაში არსებულ არაკეთილგანწყობილ და დისკრიმინაციულ მიდგომებს ახალგაზრდა ჟურნალისტები პრაქტიკულ საქმიანობაშიც იყენებენ. გარემოში არსებული ტენდენციებისა და მწირი პროფესიული გამოცდილების გამო, ჟურნალისტები, როგორც წესი, "პროპაგანდის" თემატიკასთან მუშაობისას, ვერ ახერხებენ სწორი ტონისა თუ ლეგიტიმური მიდგომის მოძებნას. აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნების მისაღწევად ყველაზე ოპტიმალურად გვესახება სწავლების პროცესში სწრაფად და სწორად ინფორმაციის ანალიზზე მუშაობის ფორმის გამოყენება. წინამდებარე პროგრამის ძირითადი თავისებურებაც მაღალი ინტერაქცია, დისკუსიების ღია, დისკურსული ხასიათი, თეორიული მასალის მარტივი მიწოდება (ვითვალისწინებთ რა იმ გარემოებას, რომ მაგისტრანტებს, შესაძლოა, სულაც არ ჰქონდეთ ჟურნალისტის ბაკალავრის კვალიფიკაცია) და პრაქტიკაში დაგროვილი მასალის სიუხვეა;

6. ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდი:

- სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომის, მისი უნარებისა და ხასიათის თვისებების გათვალისწინების გზით მისთვის ცოდნის გაზიარება;
- ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;

7. თვალსაჩინო მაგალითის განხილვით სწავლება, იგივე შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

8. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით ემპირიული კვლევის მეთოდების შესწავლა - მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია; სამაგისტრო პროგრამა „მედიის კვლევები და მულტიმედია წარმოება" სწავლების ცნობილ პედაგოგიურ პრინციპს - სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას ემყარება. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპი პროცესში აქტიურად ჩართულ მაგისტრანტებს ავტონომიისა და პასუხისმგებლობის გრძნობას უვითარებს. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება მოტივირებულ, ინტერესიან სტუდენტზეა გათვლილი. ამ პრინციპის გატარების შემთხვევაში, სწორედ მაგისტრანტია მთავარი მოქმედი გმირი. პროფესორი, ამ შემთხვევაში, ფასილიტატორია და არა ავტორიტარული მასწავლებელი. შედეგიც გაცილებით ეფექტურია: მასალა მარტივად დასამახსოვრებელია; სწავლის პროცესში ინდივიდუალური მიდგომა და საკუთარი გამოცდილებით „მოპოვებული" ცოდნა აცოცხლებს სწავლების პროცესს და რეალურ ცხოვრებასთან შესაბამისს ხდის მას.

9. გამოცდილებითი სწავლების მეთოდი - გულისხმობს, სტუდენტის ჩართვას სხვადასხვა აქტივობებში აუდიტორიის გარეთ. ამ მეთოდს ეძახიან კოლბის სწავლების ციკლს. მეთოდი განავითარა დევიდ კოლბმა და ეს არის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება სტუდენტისთვის. შედგება ოთხი ციკლისაგან: ჩამოყალიბება, დაკვირვება, ასახვა, გაკეთება. თეორიული სწავლის ერთი კონკრეტული თემა დაიგეგმოს პრაქტიკული განხორციელებისათვის, ექსპერიმენტისთვის, პრაქტიკის, ექსპერიმენტის დროს სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენა, შემდგომში გასათვალისწინებელი აუცილებელი

სწავლისა თუ გამოცდილების შეძენა, ცვლილებების გათვალისწინებით ექსპერიმენტის ხელახლა დაწყება.

10. თანამონაწილეობითი, იგივე თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

11. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

12. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

13. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

14. როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

15. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

16. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს

მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში;
17. პრაქტიკული სწავლების მეთოდი - პრაქტიკული დავალებების შესრულება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;
- შუა სემესტრულ შეფასებას;
- საბოლოო შეფასებას.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისთვის გამოიყენება როგორც ზეპირი ასევე წერითი (ტესტი, ქეისების განხილვა და ანალიზი, ღია კითხვები, ესსე, და ა.შ) გამოკითხვა. ცალკეული სასწავლო კურსები შეიძლება ითვალისწინებდეს საშინაო დავალების ან კვლევითი თუ პრაქტიკული პროექტების მომზადებას და მათ პრეზენტაციას.

პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და **„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.**

განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება, ისევე როგორც სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონეტის შეფასება უნივერსიტეტში წარმოებს 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება.

შუასემესტრული შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ შეფასებებს, რომელიც ჯამში მაქსიმუმ 40 ქულის ტოლია და შუალედური გამოცდის შეფასებას, რომელიც მაქსიმუმ 20 ქულიანია;

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედურ შეფასებებში 30 ქულაა.

რაც შეეხება დასკვნით გამოცდას, მისი მაქსიმალური შეფასება 40 ქულაა ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულის ტოლია.

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასება შუალედური შეფასებებითა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებით, 51 ქულის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით და ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ქულა	შეფასება	
91-100 ქულა	A	ფრიადი
81-90 ქულა	B	ძალიან კარგი
71-80 ქულა	C	კარგი
61-70 ქულა	D	დამაკმაყოფილებელი
51-60 ქულა	E	საკმარისი
41-50 ქულა	Fx	**ვერ ჩააბარა** (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40 ქულა	F	**ჩაიჭრა** (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და

		მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტს აქვს ერთხელ გადაბარების უფლება, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესს, ის ფასდება ერთჯერადად, კომისიის წინაშე სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი მიიღებს სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულ 30 კრედიტს და მიენიჭება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია.

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების 4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).

აკადემიური ხარისხის/ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

მედიის კვლევებისა და მულტიმედიის წარმოების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.**

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება **მედიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაცია**
და ეძლევა შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

მედიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ მინიმუმ 120 ECTS კრედიტის დაგროვება.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი შემდეგი ხარისხის სახელმწიფო ნიმუშის დიპლომს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად:

- **წარჩინების დიპლომი - GPA 3.5** და მეტი კომპეტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;
- **ჩვეულებრივი დიპლომი - ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები.**

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მეცნიერებებისა და ჟურნალისტიკის სფეროს სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელების უფლება აქვს სხვა მიმართულების სადოქტორო პროგრამაზეც, თუ უნივერსიტეტს რაიმე შეზღუდვა არა აქვს დაწესებული პროგრამაზე მიღების წინაპირობით.

დასაქმების სფერო
შრომის ბაზარს დაკვეთა მართავს. უკანასკნელ ხანს, მედიის მკვლევარები სულ უფრო მოთხოვნად კადრებად სახელდება. ზემოთქმულს მედიის მონიტორინგისა და მედიის კვლევების წარმოების მოთხოვნის მიმართულებით სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსები და გაცემული დაფინანსებაც ადასტურებს. კონკურენციის პირობებში, დამსაქმებელი სწორედ მულტიდიმედიური კომპეტენციების მქონე კადრებს არჩევს. ზემოთქმული დასტურდება უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევითაც, რომელიც პროგრამას თანდართული აქვს. კვლევა საფუძვლად დაედო სამაგისტრო პროგრამის მომზადებას და კიდევ ერთხელ ცხადჰყო მისი საჭიროება. წარმოდგენილი პროგრამის მაგისტრს ექნება, ერთი მხრივ, მედიის კვლევის კომპეტენცია, მეორე მხრივ კი მულტიმედიური პროდუქტის წარმოებისა და პროფესიული ტექნოლოგიების გამოყენების ცოდნა; ასევე, სოციალური ცხოვრების სფეროში საქმიანობისათვის აუცილებელი ის მეთოდოლოგიური აპარატი, რომელიც საშუალებას მისცემს, აკადემიურად და კრეატიულად ჩაერთოს საქმიან ურთიერთობებში. კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს მედია ორგანიზაციებსა და კვლევით ცენტრებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, რათა იკვლიოს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო გარემო და მედია სივრცე, გაწევრიანდეს შესაბამისი მიმართულების არასამთავრობო ორგანიზაციებში და ჩაერთოს სხვადასხვა ინსტიტუციების საქმიანობაში.

კომპეტენციების რუქა

№	საგნის კოდი	საგანი	კომპეტენციები		
			ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
		სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	**MMRS001**	მასკომუნიკაციის თანამედროვე თეორიები	x	x	x
2.	**MMRS002**	ვებ პროგრამირება	x	x	x
3.	**MMRS003**	მულტიმედია ტექნოლოგიები 1 (გრაფიკა, დიზაინი)	x	x	x
4.	**MMRS004**	ლოკალური მედიის ტენტენციები საქართველოში	x	x	x
5.	**MMRS005**	მსოფლიოს ინფორმაციული რუკა	x	x	x
6.	**MMRS006**	მედიის კვლევების ფორმები და ტექნოლოგიები	x	x	x
7.	**MMRS007**	საინფორმაციო სტრატეგიები	x	x	x
8.	**MMRS008**	მულტიმედია ტექნოლოგიები 2 (მონტაჟი)	X	x	x
9.	**MMRS009**	კომუნიკაციის აუდიოვიზუალური ფორმები 1 (აუდიო კონტენტის წარმოება)	x	x	x
10	**MMRS010**	წერა მულტიმედიისთვის	x	x	x

11.	**MMRS011**	მედია პოსტსაბჭოთა საქართველოში	x	x	x
12.	**MMRS012**	მედიაფორმატირების ხელსაწყოები (ტექნოლოგიები და კონტენტი)	x	x	x
13.	**MMRS013**	კომუნიკაციის აუდიოვიზუალური ფორმები 2 (ფოტო და ვიდეო კონტენტის წარმოება)	x	x	x
~		**სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები**			
1.	**MMRS014**	საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე)	x	x	
2.	**MMRS015**	მედიის სამართლებრივი რეგულირება	x	x	x
3.	**MMRS016**	კიბერუსაფრთხოების კრიტიკული ასპექტები	x	x	
4.	**MMRS017**	მედია ორგანიზაციის ბიზნესმოდელირება	x	x	x
5.	**MMRS018**	მასმედია და მასკულტურა	x	x	x
6.	**MINTREL002**	დიპლომატია და მსოფლიო პოლიტიკური პროცესები	x	x	
7.	**MINTREL011**	საერთაშორისო ორგანიზაციები და რეგიონული უსაფრთხოება	x	x	x
8.	**MINTREL012**	ძალაუფლების თანამედროვე თეორიები	x	x	
9.	**MINTREL005**	უსაფრთხოების თეორია	x	x	x
10.	**MMRS019**	კონსტრუქციული აგროჟურნალისტიკა	x	x	x
11.	**MGVW004**	მეღვინეობა	x	x	x
12.	**MGVW001**	მევენახეობა	x	x	
13.	**MGVW005**	ღვინის სამომხმარებლო კულტურა მსოფლიო ბაზრებზე	x	x	
14.	**MIBM002**	მენეჯმენტის თანამედროვე კონცეფციები	x	x	x
15.	**MIBM001**	საერთაშორისო ეკონომიკა და ბიზნესი	x	x	
16.	**MIBM005**	საერთაშორისო მარკეტინგი	x	x	x
17.	**MIBM003**	საერთაშორისო ბიზნესის ფინანსები	x	x	
18.	**MIM013**	სოციალური მედიის მარკეტინგის ტენდენციები – ქეისები და ანალიზი	x	x	x
		პრაქტიკული კომპონენტი			

1.	**MMRS019**	პრაქტიკა	x	x	x
		სამეცნიერო კვლევის კომპონენტი			
1.	**MMRS020**	აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის	x	x	
2.	**MMRS021**	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, სამაგისტრო ნაშრომის დაცვა	x	x	x